ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 47-Ე ᲬᲚᲘ | № 23 (13705) | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1967 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲒᲘᲬᲕᲔᲗ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ წინა დღეებში, გუშინაც თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალი მუშა-მოსამსახურე, ამომრჩეველი იყო პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლთან მოთავსებულ ამომრჩეველთა კლუბში. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ლამაზად გაფორმებულ სტენდებს, „სახალხო ხუთწლედი — მოქმედებაში", „ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისათვის"...

აქ სტენდებზე თქვენ ნახავთ პორტრეტებს მთელ რაიონში და რესპუბლიკაშიც კარგად ცნობილი ადამიანებისას, რომლებმაც გმირულ ბრძოლებში და შემოქმედებითს შრომაში ისახელეს თავი.

ახალგაზრდა ამომრჩევლებს აქ ესაუბრა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალი, სამამულო ომის მონაწილე გ. კოკოზაშვილი. დამსწრეთ მან მოუთხრო სტალინგრადის ბრძოლების დაუვიწყარ epizodebze, რომლის მონაწილე თვითონ იყო.

ამომრჩეველთა კლუბის გამგემ ო. ცქიტიშვილმა გაგვაცნო კლუბის სამუშაო ᲒᲔᲒᲛᲐ, აქტივისტები.

— ამომრჩეველთა კლუბი, — განაცხადა მან, — ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ განსხვავებით ფართო მასშტაბის მუშაობს ეწევა. ამ საქმეში ჩაბმულია ბევრი აქტივისტი.

კლუბში მოსულ ამომრჩეველებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრებიან აქტივისტები ს. სამანიშვილი, გ. კაკაკაᲫშვილი, დ. ზანგალაძე, ა. სოხაძე და სხვები.

გამოვიდა კედლის გაზეთის „ამომრჩევლის ხმის" პირველი ნომერი. კლუბში აქვთ ტელევიზორი, ახალი ᲧᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ოთახი.

23 იანვარს ამომრჩევლებს სახალხო თეატრის კოლექტივმა უჩვენა გ. ხუხაშვილის სამმოქმედოანი პიესა „ცხოვრება კაცისა", რომელიც დადგეს რეჟისორმა ვ. ვაშაძემ და ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. მაჩაიელმა. ეს სპექტაკლი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

და ეს ერთადერთი კლუბი არ ოდია. მუშაობას შეუდგა ლენინის რაიონში შექმნილი ამომრჩეველთა 58 კლუბი. ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლებაში მოთავსებულ ამომრჩეველთა კლუბის პოლიტორგანიზატორებს დაგეგმილი აქვთ მოაწყონ შეხვედრები დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, ძველ რევოლუციონერებთან, იმ ადამიანებთან, ვინც ყოფილი ნაძალადევი მისი ბნელი ᲭᲣᲠᲑᲔᲑᲘ და ნესტანი გომურებით დღეს რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ მძლავრ ინდუსტრიულ, კეთილმოწყობილ რაიონად აქცია.

პარტიის ლენინის რაიკომი განსაკუთრებულ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐᲡ უთმობს -ახლახან შექმნილი ამომრჩეველთა კლუბების მუშაობას: უკვე ორჯერ მოეწყო კლუბების გამგეთა საინსტრუქტაჟო თათბირი.

Ა. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ მოსახლეობა ემზადება არჩევნებისათვის. ამან კიდევ უფრო გააცხოველა დიდი ოქტომბრის 50-ᲯᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲚᲐᲜᲗᲛᲐᲕᲘ სოციალისტური შეჯიბრება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 40 და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 130 საარჩევნო ოლქი. წინა არჩევნებიდან დღემდე მნიშვნელოვნად გაიზარდა ამომრჩეველთა რიცხვი.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩეველს. გუდაუთის რაიონის ახალსოფლის ორჯობილიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დ. ᲒᲝᲒᲘᲫᲘᲠᲨᲕᲘᲚᲘᲡ ამ დღეებში ანგარიში ჩაბარა თავის ამომრჩევლებს. ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით წარსდგა აკრეოვეს ᲢᲣᲒᲐᲠᲩᲔᲚ-ᲥᲔᲜᲐᲜᲐᲨᲘᲠის ტრესტის მმართველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ᲥᲘᲜᲩᲘᲫᲔ.

აფხაზეთში არჩევნებისათვის მზადება ღღითიდღე ფართოვდება. აქ უკვე შეიქმნა 340 ამომრჩეველთა კლუბი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მარტო სოხუმსა და ᲢᲣᲒᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘ დამატებით გამოყვეს 820 ორგანიზატორი, რომლებიც მოსახლეობაში ატარებენ საუბრებს.

Ჯ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ. (საკ. კორ.). ქალაქში ამჟერად ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲓᲔᲑᲘ 36 ამომრჩეველთა კლუბი. ისინი შექმნილია მეტალურგიულ, ქიმიურ, ცემენტის, ᲐᲛᲬᲕᲘᲡᲐᲛᲨᲔᲜᲑᲚᲝ და სხვა ქარხნებთან და ᲙᲐᲠᲗᲐᲛᲘ-დაწესებულებებთან.

საინტერესოდ მოაწყო თავისი მუშაობა მთავარი არხის დასახლების ამომრჩეველთა კლუბმა. აქ, საკმაოდ ვრცელ ოთახში ყოველდღიურად მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს. სპეციალურად გამოყოფილი პოლიტორგანიზატორები განუმარტავენ მშრომელებს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს, აცნობენ მათ საარჩევნო ოლქებსა და უპასუხებენ ამომრჩეველთა კითხვებზე.

ამომრჩეველთა კლუბში უკვე გამოვიდა კედლის გაზეთის მეორე ნომერი. კლუბის ერთ-ერთი კუთხე დათმობილი აქვს პარტიის XXIII ყრილობის მასალებს. აქვეა საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. ამომრჩევლებს შეუძლიათ წაიკითხონ ახალი ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-გაზეთები, გაერთონ დომინოთი, შაშით, ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲗ. საინტერესოდ არის გაფორმებული ფოტოგამოფენა „ისინი პირველად მისცემენ ხმას".

ამომრჩეველთა კლუბში ამ მოკლე პერიოდისათვის გათვალისწინებულია წაკითხული იქნას მრავალი ლექცია-მოხსენება, რომლებიც მიეძღვნება არჩევნების საკითხებს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲚᲚ. ᲓᲔᲙᲐᲞᲠᲔᲚᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცდა წლისთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝᲡ-ძე დეკაპრელევიჩი დაჯილდოდეს საქართველოს-სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ბ. ᲫᲝᲯᲔᲜᲘᲫᲔ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Ზ. ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 26 იანვარი.

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის იანვრის თვის დავალება. გეგმის ზევით უკვე გამოშვებულია 200 ათასი ქილა კონსერვი.

იანვრის პირველ ორ დეკადაში ქარხანამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა 64 ვაგონი კონსერვი. ახალი წლიდან ქარხანამ თუნუქის ხუფებით უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობა, რასთვისაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სათუნუქე საამქროს რეკონსტრუქციისა და მისი ახალი დანადგარებით აღჭურვის სამუშაოები. იანვრის განელილ დღეებში აქ 4 მილიონი ცალი კონსერვის ქილის ხუფები გამოუშვეს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ მეკონსერვეები თვის ბოლომდე კიდევ დამატებით მისცემენ სამშობლოს 190 ათასი მანეთის პროდუქციას.

ᲓᲐᲯᲝᲒᲘᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲗ

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს თერჯოლის მექანიკური ქარხნის კოლექტივი (დირექტორი ნ. დარახველიძე). აქ გასულ წელს 3.000 ცალი მაღალხარისხოვანი ზეგეგმითი საწოლი დამზადდა. მოსკოვისა და ᲚᲔᲜᲘᲜ�გრადის მოწინავე საწარმოთა მოწოდების პასუხად ქარხნის კოლექტივმა გააჩაღა ლამქრობა ლითონისა და მასალების მომჭრელობისათვის და მარტო დანაზოგი გამოუშვა 200 ცალი ზეგეგმითი საწოლი.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით მუშაობს იანვარშიც. პარტიულმა ორგანიზაციებმა მარტო სოხუმსა და ᲢᲣᲒᲐᲠᲩᲔᲚᲨᲘ დამატებით გამოყვეს 820 ორგანიზატორი, რომლებიც მოსახლეობაში ატარებენ საუბრებს.

Ჯ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეებსა და ამ საზოგადოებათა უველა წევრს, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცების დიდმნიშვნელოვან და კეთილშობილურ მისიას ასრულებენ.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებები მათი შექმნის შემდეგ მასობრივ ორგანიზაციებად გადაიქცნენ. ისინი აერთიანებენ საბჭოთა საზოგადოებრიობის ასეულ ათასობით წარმომადგენელს და დამსახურებული ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობენ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მრავალმხრივი საქმიანობა საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა და გამოხატავს საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას განამტკიცონ ძმური ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, განავითარონ მეგობრობა მთელი მსოფლიოს ხალხებთან, ყველასთან. ვისთვისაც ძვირფასია პროგრესის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმე.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის საქმიანობაში კვლავაც უნდა აისახოს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეები. ამ მიზნით საჭიროა ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲠᲐᲓ განვამტკიცოთ ძმური ურთიერთობა და შეკავშირება სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, სოლიდარობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებთან, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური და ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური რეაქციისა და მისი აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ იბრძვიან. მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა, რომელიც ავითარებს ურთიერთობასა და კონტაქტებს კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ საზოგადოებრიობასთან, ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განხორციელებას, დედამიწის ᲧᲕᲔᲚᲐ კონტინენტის ხალხებთან საბჭოთა ხალხის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაფართოებას.

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის საპატიო ამოცანა ის არის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეების სურვილისამებრ დედამიწის ᲧᲕᲔᲚᲐ კუთხეს მოაფინოს სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. ᲧᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲗ გააცნოს საბჭოთა ხალხის შთაგონებული შრომა XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, განმარტოს, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს გზას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის კონფერენციას უსურვებს წარმატებას მუშაობაში და გამოთქვამს რწმენას, რომ მისი გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო გააკქტიურებენ კავშირის საქმიანობას, გააფართოებენ მისი აქტივის წრეს და ხელს შეუწყობენ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან საბჭოთა ხალხის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ!

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). კონფერენციის მონაწილეთა საბჭოთა საზოგადოებრიობის 800-ზე მეტი წარმომადგენელი დღეს იხილავდა მეგობრობის, მშვიდობისა და თანამშრომლობის საკრებრორტო პრობლემებს. დილის სხდომას თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის გმირი, კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ს. ᲜᲐ. პონომარიოვს. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ მისალმება კონფერენციისადმი.

შეკრებილებმა მხურვალე ტაშით გამოხატეს მადლობა პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მათი საქმიანობის დიდი დაფასებისათვის.

— ჩვენთვის დიდი სიხარული და დიდი პატივია მოვიკითხოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ასეთი მისალმება, — თქვა სხდომის თავმჯდომარემ ი. ა. გაგარინმ. — ოგი შთაგონებს ახალ საქმეებს იმათ, ვისაც თავისი წელილი შეაქვს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური იდეების პროგრამაში.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი გაბოსელაში შეეხო დიდმნიშვნელოვან წინადადებას მოსკოვში მშვიდობისა და მეგობრობის სასახლეა მშენებლობის შესახებ, რომელიც ნ. ვ. პოპოვამ წამოაყენა თავის მოხსენებაში. მისი აზრით, სასახლის მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრიობამ. ამავე დროს უნდა ავაგოს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის მონუმენტი, უნდა გეფიქროთ მშვიდობისა და მეგობრობის მუზეუმის შექმნის შესახებ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოიწონა მეგობრობის საზოგადოებების კავშირის პრაქტიკული საქმიანობა და დასახა შემდგომი მუშაობის გზები, აგრეთვე დაამტკიცა ორგანიზაციის ახალი წესდება.

საბჭოთა საზოგადოებრიობის სახელით დელეგატებმა მოიწონეს მსოფლიოს ᲧᲕᲔᲚᲐ პროგრესულ ორგანიზაციას ამხილონ ამერიკის იმპერიალისტების საბარელი ბოროტმოქმედება ვიეტნამში.

შეკრებილებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

შემდეგ გაიმართა ხელმძღვანელი ორგანოს — კავშირის საბჭოს არჩევნები. საბჭოს წევრებად არჩეულია 3125 კაცი.

ამით კონფერენციამ დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ მოსკოვში წითელ მოედანზე ჩინელ მოქალაქეთა ᲯᲒᲣᲤᲨᲘ, რომლებიც გავლით ჰაინან სსრ კავშირში, და მათმა თანმხლებმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლებმა უხუშად დაარღვიეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ნახვის ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ დადგენილი და ცნობილი წესები, შექმნეს არეულობა, ხელს უშლიდნენ სხვებს, ავიწროებდნენ და არ აძლევდნენ მავზოლეუმში შესვლის საშუალებას. ამასთანავე მათს ასეთ მოქმედებას თან ახლდა ანტისაბჭოთა შეძახილები, ღრიანცელი და სხვა უხამსი საქციელი. ჩინელ მოქალაქეთა პროვოკაციულმა საქციელმა თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის ამ წმიდათა წმიდა ადგილას წითელ მოედანზე მყოფი საბჭოთა ადამიანების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

წითელ მოედანზე ჩინელ მოქალაქეთა აღმაშფოთებელი ხულიგნური მოქმედების გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა, რომ საელჩომ განახორციელოს ᲧᲕᲔᲚᲐ საჭირო ღონისძიება, რათა სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი ჩინელი მოქალაქენი შესაფერისად იქცეოდნენ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კანონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ᲧᲕᲔᲚᲐᲒᲐᲠᲔ დარღვევის აღსაკვეთად ჩინელ მოქალაქეთა წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამწყვეტი ღონისძიებანი და რომ მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებისათვის დაეკისრება ჩინეთის მხარეს.

ᲬᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მინდვრების თავზე სულ უფრო ხშირად დაინახავთ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავებსა და ᲕᲔᲠᲢᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲡ, რომლებიც ჰაერიდან ეწევიან ნათესი ფართობების დამუშავებას.

სასოფლო-სამეურნეო ავიაცია რესპუბლიკის მხვნელ-მთესველთა, მევენახეთა, მეჩაიეთა, მეციტრუსეთა, მებოსტნეთა საიმედო თანაშემწე გახდა.

ᲧᲕᲔᲚ წელიწადს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ათასობით ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ მიწა მუშავდება ჰაერიდან. თვითმფრინავებიდან ეწევიან ბრძოლას სოფლის მეურნეობის მავნებლებთან, შეაქვთ სასუქები, აწარმოებენ შეფრქვევასა და შესხურებას.

წელს აეროფლოტის საქართველოს სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავები ჰაერიდან დაამუშავებენ 500.000-მდე ᲰᲔᲥᲢᲐᲠ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მინერალური სასუქების შეტანა ჰაერიდან გარდაბნის რაიონის ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ვენახებში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და ს. კილაძისა.

◆ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ Ა. ᲛᲝᲠᲝᲡᲗᲐᲜ ◆ ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ◆ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲜᲐ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ◆ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲐᲢᲘᲪᲐᲪᲔᲛᲐᲓ ◆ ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲨᲘ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲨᲘ

ᲠᲝᲛᲘ, 25 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.) იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალდო მორომ დღეს საუზმე გამართა იტალიაში სახელმწიფო ვიზიტით მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნინი პატივსაცემად. საუზმეზე იყო იტალიის რეპუბლიკის პრეზიდენტი ᲯᲣᲖᲔᲞᲔ სარაგატი, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ახლავან. იტალიის მთავრობის წევრები.

ა. მორო მიესალმა ნ. ვ. პოდგორნინს და აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი მიმდინარეობს ისეთ მომენტში, როცა მთავრობებსა და ხალხებს აფიქრებს ის გარემოება, რომ დაძაბულობის საფეხიანს ᲗᲣᲛᲪᲐ სახელი გაუტეხოს ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება ურთიერთგაგებას, თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ბაზის გაფართოებას. მან გამოთქვა სურვილი მიღწეულ იქნას არსებითი პროგრესი საყოველთაო და სრული განიარაღების დარგში, გამოთქვა რწმენა, რომ ეს პროგრესი კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ევროპისა და მთელი მსოფლიოს უშიშროების პრობლემის გადაჭრაზე.

ა. მორომ აღნიშნა, რომ იტალიის მთავრობა დიდად კმაყოფილია იმის გამო, რომ ამას წინათ დაიდო ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის სამშვიდობო გამოყენების შესახებ და განაცხადა, რომ იტალიას განზრახული აქვს ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას.

მორომ დასძინა, რომ იტალიას სურს აგრეთვე ერთობლიკი ღონისძიებებით ხელი შეუწყოს გაერთიანებული ᲔᲠᲗᲘᲡ ორგანიზაციის განმტკიცებას, და განაცხადა, რომ საჭიროა დამყარდეს უფრო ფართო ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა ევროპის კონტინენტის ყველა ქვეყანასა შორის.

თავისი სიტყვის დასასრულს მან ადიღეგრძელა იტალიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა. გულითადი და ნაყოფიერი თანამშრომლობა, მშვიდობიანი და აყვავებული მომავალი უსურვა სსრ კავშირსა და მის ხალხებს.

ჩვენი ვიზიტის მიზნები, თქვა ნ. ვ. პოდგორნინმ, განისაზღვრება საბჭოთა კავშირის მისწრაფებით განვითაროს იტალიასთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში. მან თქვა, რომ პრეზიდენტ სარაგატთან და იტალიის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან პირველი საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მსოფლიოში დაძაბულობის შენელება, განაცხადა მან, დამოკიდებულია ᲧᲕᲔᲚᲐ სახელმწიფოს ღონისძიებებზე, იმაზე, თუ რა წვლილს შეიტანენ ისინი ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

ნ. ვ. პოდგორნინი შეეხო საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობას და აღნიშნა, რომ იგი მოიცავს ისეთ ძირითად დარგებს, როგორიც არის პოლიტიკური, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული დარგები.

ორი ქვეყნის ვაჭრობის გაფართოებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დარგში ღონისძიებათა კოოპერირებაში, თქვა მან, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს იტალიის საქმიანი წრეების, იტალიის მთელი რიგი მსჯელი ფირმების რეალისტური მიდგომა იმ საკითხისადმი, რომ შესაძლებელია ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორმხრივი ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან იტალია, საფრანგეთი, ფინეთი და მთელი რიგი სხვა ქვ

საუბილეო მოსავალზე ზრუნვით

ძველასაზანოელებისან

მდინარე ძოსას ხეობა ახლა, ზამთარში, ისე არ ხმაურობს, როგორც გაზაფხულზე და ზაფხულში. სანატერლმა პირველმა თოვლმა და ყინვამ მდინარე ჩაანყმა. მაგრამ ძოსას ხეობის ვრცელ მინდვრებზე, სადაც ძირითადად ვენახია გაშენებული, კოლმეურნეებმა მოსწრეს მთავარი სამუშაოების შესრულება — დაბარვა. სასუქების შეტანა. ასევე თოვლს შეახვედრეს სიმინდის დასათესად განკუთვნილი მზრალად მოხნული მიწები. ამჟერად კოლმეურნეები შეგროვდნენ გასული სამეურნეო წლის შედეგების განსახილველად.

— ასეთი ერთსულოვნება და მუშაობაში შემართება წინა წლებში არ იყო, — თქვა თავის სანგარიშო მოხსენებაში რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. აბესაძემ. ეს ალბათ იმიტომ და წარმატებები განაპირობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის და პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. კერძოდ, ქვედასაზანოელ კოლმეურნეთა წარმატება იმის შედეგიც არის, რომ მთელი სოფელი დარაზმულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ეს ერთსულოვნება, დარაზმულობა შესამჩნევი იყო კოლმეურნეთა კრებაზეც, რომელიც ამ დღეებში მოეწყო. კოლმეურნეობის ათას ას ოცი წევრიდან კრებას დაესწრო რვაასზე მეტი. ქვედასაზანოელთა კრებაზე ითქვა, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამორჩენილი სოფელი საზანო, სადაც მხოლოდ ერთი ოთხკლასიანი სკოლა არსებობდა, გადაიქცა კეთილმოწყობილ, განათლებულ, ეკონომიურად აღორძინებულ, თანამედროვე კულტურულ სოფლად. ქვედა საზანოში დღეს არის ერთი საუშაო სკოლა, ორი რვაკლასიანი სკოლა. ბავშვების აღზრდას ემსახურება 71 უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პედაგოგი. სოფელში აქვთ 23-ადგილიანი საავადმყოფო, საფერშლო-სანბებიო პუნქტი.

ქვედა საზანოს მშრომელები პირველნი ჩაებნენ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გამოიჩინეს ინიციატივა და მოწოდებით მიმართეს ზესტაფონის რაიონის სოფლის მშრომელებს — იკისრონ კონკრეტული ვალდებულებები და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დიად თარიღს ახალი წარმატებებით შეხვდნენ.

ზესტაფონის რაიონი ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონია. მევენახეობა ძირითადი დარგია აგრეთვე ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. წლითიწლობით იზრდება ვენახების ფართობი და მოსავლიანობა. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობაში 1961 წელს ვენახის ფართობი შეადგენდა 40 ჰექტარს, 1966 წლის ბოლოსათვის უკვე იყო 83 ჰექტარი. აქედან დიდი ხანია ახალშენი ვენახია.

კოლმეურნეობამ გასული სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრა. ყველა სახის გეგმები გადაჭარბებით აღსრულებული. 1966 წელს ყურძნის წარმოებამ 187 ტონას გადააჭარბა. სახელმწიფოს მიჯაღილს 163 ტონა ყურძენი, 45 ტონა რძე, 7 ტონა ხორცი, 6 ტონა აბრეშუმის პარკი, 10 ტონა სოია. 1965 წელთან შედარებით 1966 წელს მიღებულია 70 ტონით მეტი ყურძენი. ქვედასაზანოელთა ხუთწლედი უფრო დიდ ამოცანებს სახავს. მაგალითად, 1967 საიუბილეო წელს ყურძნის წარმოება აყვანილ უნდა იქნას 264 ტონამდე, 1968 წელს — 363 ტონამდე, 1969 წელს — 473 ტონამდე. ასევე გათვალისწინებულია სიმინდის, აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდება.

კრებაზე ქებით მოიხსენიეს ბევრი შევენახე, რომლებმაც ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მელიტონ და დავით კობახიძეებმა, ვ. ლუტიძემ, ქ. კვანტიძემ, ბ. ბიბაშვილმა, ა. არაბიძემ, ს. ბუცხრიკიძემ, ვ. კობახიძემ, შ. კობახიძემ და მრავალმა სხვამ ჰექტარზე გადაანგარიშებით მიიღო 120-140 ცენტნერი ყურძენი. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის სულ პრემიად გაიცა 5.411 მანეთი. მაგრამ ასე როდი იმუშავეს ბ. თორთლაძემ, დ. შუყელაძემ, ბ. ბიბაშვილმა, ა. კვანტიძემ, შ. ბუცხრიკიძემ, გ. ბიბაშვილმა. მათ ხელიდან გაუშვეს მოსავლიანობის გადიდების პირობები, დაარღვიეს აგროტექნიკის მოთხოვნები და შეამცირეს ყურძნის მოსავლიანობა.

კრების მონაწილეები არ მოერიდნენ იმათი გვარების დასახელებას, რომლებიც ცუდად უყვლიან ახალშენ ვენახებს. ესენი არიან ს. ნებიერიძე, ვ. ურიაძმკოფელი, ბ. ჭუმბურიძე, ს. ჭანტურიძე, ვ. ჭუმბურიძე, ბ. კობახიძე, შ. ბოჭოიძე. კამათის მონაწილეებმა გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობა, რომელმაც დროულად არ მიიღო ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ქმედითი ღონისძიებანი არ განხორციელებულა ვაზის ნაცრისა და სხვა ავადმყოფობის ლიკვიდაციისათვის. იყო შემოხვევა, როცა მხოლოდ გეგმის შესრულების მიზნით ერთი კაცი დღეში ასწრებდა 3 ჰექტარი ვენახის შეწამვლას, ან გოგირდის შეფრქვევას. ცხადია, აქ ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია. ამას კი ყურადღება არ ექცეოდა. ისიც ითქვა, რომ ზნირად კოლმეურნეობაში მიღებული შაბიამანი და გოგირდი უხარისხოა. კოლმეურნეებმა ხაყვედური გამოთქვეს შესაწამლი და შესაფრქვევი აპარატების ცუდი ხარისხის გამო. ისინი უკვე ერთი წლის შემდეგ გამოდიან მწყობრიდან. ეს უნდა გაითვალისწინონ იმ საწარმოებმა, რომლებიც ამ აპარატებსა და შხამქიმიკატებს უშვებენ.

ხმა დარბაზიდან: მარტო ლაპარაკი როდი შველის საქმეს. გამგეობამ და სხვა ორგანოებმა კონკრეტულად უნდა მოაგვარონ აღნიშნული საკითხი.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა დ. ბურულმა და პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანმა ზ. შერაძემ კოლმეურნეებს აღუთქვეს, რომ დაეხმარებიან დასმული საკითხების მოგვარებაში.

კრებაზე ისიც აღნიშნეს, რომ წელს აუცილებელია მეტის გაკეთება. საზანოში მშრომელი ხალხია და მას მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა. მასებთან მჭიდრო კავშირი, მომთხოვნელობის გაზრდა აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინსვლის გზაზე. ამიტომ მეტი მოთხოვნები აქვთ წაყენებული თვით კოლმეურნეობის გამგეობას, მის თავმჯდომარეს — აგრონომ კ. აბესაძეს, პარტორგანიზაციის მდივანს ა. ქვათაძეს, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს მ. ურიადყოფელს. თუ ისინი უფრო განაგტკიცებენ შრომის დისციპლინას, უკეთ მოაწყობენ შრომას, წარმატებებიც იქნება. აღინიშნა აგრეთვე, რომ სოფლის ახალგაზრდობის სწავლისა და შრომისადმი სიყვარულით, კომუნისტური დამოკიდებულებით აღზრდის საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ საშუალო სკოლის დირექტორს ბ. კობახიძეს და პედაგოგებს.

წარმატებები უფრო მეტი იქნებოდა, ყველა ბრიგადას მონდომებით რომ ემუშავნა, გამოიყენებინა არსებული რეზერვები. ავიღოთ თუნდაც პირველი და მეორე ბრიგადები. ორივეს მუშაობის ერთნაირი პირობები აქვს. მაგრამ შედეგი სულ სხვადასხვაა. პირველმა ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 14 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 11 ცენტნერისა. მეორე ბრიგადამ, რომელსაც გ. ჭანტურიძე ხელმძღვანელობს, ჰექტარზე მიიღო მხოლოდ 7 ცენტნერი სიმინდი.

ხმა ადგილიდან: აგვიხსენით, რატომ მოხდა ასე?

— საქმე იმაშია, რომ, — თქვა მომხსენებელმა, — მეორე ბრიგადამ დაარღვია აგროწესები, თავის დროზე არ გაწახორციელა პირველი და მეორე თოხნა, არ დაიცვა ხარისხი. ნაკლები იყო მომთხოვნელობა, და შედეგიც ცუდია. წელს კი ასეთი ნაკლოვანება არ უნდა გამეორდეს. ნიადაგის კარგად დამუშავებით, სასუქების გონივრულად გამოყენებით უნდა მივაღწიოთ საშუალოდ ჰექტარზე 25-30 ცენტნერი სიმინდის მიღებას.

კოლმეურნეობის წინსვლაზე ლაპარაკობს ფუალი შემოსავლის გადიდებაც. 1963 წელს საერთო შემოსავალი შეადგენდა 40 ათას მანეთს, 1964 წელს — 46.984 მანეთს, 1965 წელს — 49.472 მანეთს, ხოლო 1966 წელს გადააჭარბა 120 ათას მანეთს. მარტო მევენახეობიდან მიღებულია 65.000 მანეთი, თუ კი გასული წლის 1 ივლისამდე ერთ შრომადღეზე გაცემული იყო 52 კაპიკი, 1 ივლისიდან 1 იანვარამდე ერთ ნორმადღეზე გაცემულია ერთი მანეთი და 72 კაპიკი და 2 კილოგრამი სიმინდი. წინა წელთან შედარებით 1966 წელს ერთი ცენტნერი ყურძნის წარმოება გაიაფდა 18 მანეთითა და 40 კაპიკით, ერთი ცენტნერი სიმინდისა — 2 მანეთით და 34 კაპიკით, ცენტნერი რძისა — 9 მანეთით და 19 კაპიკით, საქონლის ხორცისა — 57 მანეთით და 72 კაპიკით. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული პერსონალის შენახვაზე გასულ წელს დაიხარჯა მთელი ხელფასის 9 პროცენტი, მიმდინარე საიუბილეო წელს დაიხარჯება 7 პროცენტი.

ხუთწლედის პირველი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხოველეებმაც. წარმოებულ იქნა 460 ცენტნერი რძე ნაცვლად 450 ცენტნერისა. წელს უკვე გადაჭარბებით შესრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტლის გეგმა. აქ კარგად არის განვითარებული მელორეობა.

— კრიტიკისა და თვითკრიტიკის წესით უნდა ვალიარო, — თქვა მომხსენებელმა კ. აბესაძემ, რომ ჩვენი წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, მაგრამ ვერ დავძლიეთ ნაკლოვანებანი, ვერ განვახორციელეთ არტელის წესდებით გათვალისწინებული ზომები იმათ მიმართ, რომლებიც გაურბიან საკოლმეურნეო შრომას.

ხმა დარბაზიდან: რას გვეტყვით უნებართვოდ გარესამუშაოზე წასულ კოლმეურნეებზე, რომლებიც სარგებლობენ პატიოსანი კოლმეურნის სრული უფლებებით?

კ. აბესაძე (მომხსენებელი). პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობის გამგეობამ დღემდე ვერ მიიღო საპირო ზომები გარესამუშაოზე წასული კოლმეურნეების მიმართ. მაგრამ ასე არ უნდა დავტოვოთ ეს საქმე. ჩვენც ვართ დამნაშავენი და წარმოებათა ხელმძღვანელებიც. ისინი ისე იღებენ სამუშაოზე მოსულებს, რომ მათ ნებართვის ან განთავისუფლების საბუთებს არა სთხოვენ. მუშახელის ორგანიზებული გაგზავნისათვის არსებობს სათანადო წესი, და იგი მტკიცედ უნდა დავიცვათ.

კრებაზე გაიმართა გაცხოველებული კამათი. ბრიგადირმა, კომუნისტმა ვ. ფულუკიძემ, ფერმის გამგემ ვ. ნინიაძემ, ვ. ლუტიძემ, ბრიგადირმა ზ. ზარნაძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ქვათაძემ, კოლმეურნე ქ. კვანტიძემ, აგრონომმა დ. ფირხაძემ და სხვებმა აღნიშნეს ის მიღწევები, რაც კოლმეურნეობამ გასულ წელს მოიპოვა. დაწერილებით შეეხნენ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას. მათ დააყენეს შემდეგი საკითხები: მოგვარდეს ხარისხიანი შხამქიმიკატების, შესაფრქვევი აპარატების მოწოდების საქმე. მოწესრიგდეს კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობისათვის მისაყიდი შაბიამნის ფასები. რატომ უნდა იყოს ფასებში განსხვავება? სოფლის მაღაზიაში შემოტანილ იქნას პირველი მოთხოვნილების საქონელი, მათ შორის — ბარი, თოხი, ვედრო და სხვ. შარშან დაწყებული დადგმა პირუტყვის ავტომატური სარწყულებლისა უახლოეს ხანში დამთავრდეს.

პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ქვათაძემ დაასახელა კომუნისტები, რომლებიც შრომის ავანგარდში დგანან. კომუნისტებმა გამოიმუშავეს 155 შრომადღე ნაცვლად დაწესებული 100 შრომადღისა. ოთხი კომუნისტი უნარიანად ხელმძღვანელობს ბრიგადებს. კომუნისტების მხარდაჭერით აშენდა საყოფაცხოვრებო ობიექტები. არის 4 ბიბლიოთეკა, რომელსაც ხამასზე მეტი ექტიური მკითხველი ჰყავს, მან დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია აშენდეს ისეთი კლუბი, რომელშიც შესაძლებელი იქნება კულტურულ ღონისძიებათა განხორციელება, კრებების მოწვევა. ჩვენი კოლმეურნეობის 1.200-მდე წევრისათვის საჭირო დიდი დარბაზი.

კოლმეურნეთა კრებამ მოითხოვა მეტი ყურადღება მიექცეს სამომ მექანიზაციის განხორციელებას. დაახლოებით 50 პროცენტზე მეტი სამუშაო ხელით სრულდება. საჭიროა ისეთი მანქანები, რომლებიც მთიან ზონაში იმუშავებენ. ფერმისაპირა ნაკვეთებზე უნდა დათესოს ის კულტურები, რომლებიც რეკომენდებულია აჯამეთის საცდელი სადგურის მიერ. საჭიროა ფერმის პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება. ტექნიკის გამოყენების გაფართოებასთან ერთად აუცილებელია მომზადდეს ტრაქტორისტთა ადგილობრივი კადრები. უახლოეს ხანში აღმოიფხვრას ვაზის სიმეჩხერე და გაძლიერდეს ბრძოლა ვაზის მავნებლების წინააღმდეგ. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება დამთავრდეს 25 თებერვლამდე. დაითესოს 265 ჰექტარი სიმინდი, შპალერზე გადაყვანილ იქნას 20 ჰექტარი ვენახი, გაშენდეს 5 ჰექტარი ახალი ვენახი, 2 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 1 ჰექტარი დაფნა, დაიმუშაოს 50 ათასი ძირი ვაზი; წელს წარმოებულ იქნას 264 ტონა ყურძენი. საშუალოდ ჰექტარზე კი 46 ცენტნერი; მკვეთრად გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სხვ.

ქვედასაზანოელები ამაყობენ იმით, რომ დღითიდღე უმჯობესდება საყოფაცხოვრებო მომსახურება, სასახლის უბანში ვაკეთდა თონე, სოფლის ცენტრში აშენდა პურსაცხობი, არის სახერხი ქარხანა და ორი ელექტროწისქვილი. წელს დამთავრდება მდინარე ძოსაზე ხიდის მშენებლობა. აშენდება სასუქების საწყობი, სოფელში არის რადიო, ილიჩის ნათურები. წლის ბოლომდე დამთავრდება კლუბის ავტომატური ტელეფონის სადგურის მშენებლობა. სასახლის უბანში აშენდება რვაწლიანი სკოლის შენობა.

კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულება უზრუნველყოფს ახალ წარმატებათა მოპოვებას, ხელს შეუწყობს კოლმეურნეობის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას. თუ შარშან კოლმეურნეობას კოლმეურნეთა გარანტირებული ანაზღაურებისათვის 15 ათასი მანეთი სესხი დასჭირდა, წელს კი გათვალისწინებულია 5.000 მანეთი. მაგრამ კოლმეურნეთა კრებამ მოითხოვა ისე მოეწყოს მუშაობა, რომ გადაადარაზებითი შეასრულონ მოსავლიანობის გეგმები და შარი თქვან სესხის მიღებაზე, ხოლო ბასლ წელს მიღებული სესხის დაფარვა დაიწყონ 1968 წლიდან.

ქვედასაზანოელებმა კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს, სარევიზიო კომისიის მოხსენება და აქტი დამტკიცეს.

კოლმეურნეთა კრებამ მიიღო დადგენილება, რომელშიც მოცემულია მთელი წლის მუშაობის ნათელი პროგრამა. ვენახების მოვლა-დამუშავებაში მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობას გადაეცა სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა.

კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ლაშქრობა ქვედა საზანოში დაწყებულია. სოფლის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა უკეთესად იშრომონ და საამაყო მარცვლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე.

ფოტო რ. კიკნაველიძისა.

სკოლას — საუოველთაო ზრუნვა

უკეთ რომ აღვზარდოთ

საგანგებოდ იქნა მოწყობილი კოლმეურნეობის საერთო კრება, რომელმაც დაწერილებით განიხილა პარტიისა და მთავრობის დადგენილება სკოლების შესახებ და გადაწყვიტა, რომ კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით და მოსახლეობის შრომითა მონაწილეობით ააგოს სოფლისთვის საშუალო სკოლის ახალი შენობა. საერთო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობას დააკისრა სკოლის მშენებლობისათვის გამოყოს 1,5 ჰექტარი ფართობი და 25 ათასი მანეთი თანხა. თვითეულმა კოლმეურნე ოჯახმა ვალდებულება იკისრა საკოლო მშენებლობაზე უფასოდ მუტანოს სამ-სამი მანქანა ქვა, თითო მანქანა ხიდა და, საერთოდ, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშენებლობაში.

ახალციხის რაიონის მასწავლებელთა ინერის თათბირმა, რომელშიც სასკოლო მუშაობის მრავალ საკითხზე იმსჯელა, მოიწონა და მხარი დაუჭირა ხელოთისა (თავმჯდომარე გ. ეგაგური) და ურავლის (თავმჯდომარე პ. კაპანაძე) კოლმეურნეობების მშრომელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას. გამოითქვა აზრი, რომ სხვა სოფლის მშრომელებიც მიბაძავენ მათ.

სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე სოფლების საყოფითისა და მუსების კოლმეურნეობებს (თავმჯდომარეები ს. ელაძეული და ნ. მაისურაძე), რომლებმაც რამდენიმე ათასი ძირის სამუშაოები შეასრულეს სასკოლო მშენებლობაზე.

— კოლმეურნეობებისა თუ განათლების სამინისტროს სახსრებით კიდევ ბევრი ახალი სასკოლო შენობა იგების რაიონში უახლოესი წლების მანძილზე და წარმატებით განხორციელდება პარტიისა და მთავრობის დადგენილება საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ, — თქვა პარტიის ახალციხის რაიკომის მეორე მდივანმა ო. სიხარაძემ, რომელმაც თათბირზე გააკეთა მოხსენება: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ტექნიკური შენდგომის (აუმჯობესების) ღონისძიებათა შესახებ“.

[illegible] 1965-67 საანგარიშო წლებში [illegible] რის შედეგებისა და ახალი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ბ. ახვლედიანი.

მომხსენებლებმა მკაცრად გააკრიტიკეს ვალეს მე-2 საშუალო სკოლის დირექცია და მასწავლებლები, რომლებიც სათანადო ზრუნვით არ ეკიდებიან ენისა და ლიტერატურის შესწავლას. რაიონის მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება. ნაკლებად იყენებენ ცდებსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს.

ხშირად მასწავლებლები მოსწავლის შეფასებაში იჩენენ მეტისმეტ ლიბერალობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ გასულ წელს ახალციხის 1-ლი და მე-3 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ზოგიერთმა მედალოსანმა ვერ გაამართლა მაღალი შეფასება — უმაღლეს სასწავლებლში მისაღებ გამოცდების ჩაბარების დროს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ხვდა. ასეთი ფაქტი აღარ უნდა გამეორდეს.

ასე რომ რაიონის პედაგოგიურ კოლექტივს მთელი დაძაბულობით მოუხდება მუშაობა აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ამასვე აღნიშნავდნენ კამათში მონაწილენი ამხანაგები ფ. ვოიკინი, მ. ყარაგეზაშვილი, გ. გეორგიანი, გ. ჯაოშვილი, თ. ხარატიშვილი, ლ. კახნაჯეკა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. გრძელიშვილმა.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი რაიონის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მასწავლებელთა თათბირები მოეწყო აგრეთვე ასპინძისა და ადიგენის რაიონებში.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

წერილი კომენტარით

ვისია სახლი?

„ძველსასო რედაქციას, ჩვენ, ტალანში თიანეთის გზაკეცილზე მდებარე მასწავლებელთა კომუნალური სახლის მკვიდრნი, სამი წელია შეწუხებული ვართ გარდაბნელთა ნაძალადევი მეურვეობით.

ტერიტორია, სადაც ჩვენი სახლი დგას, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ლენინის რაიონში შედის. ჩვენი სახლიდან 300 მეტრის შემოთ ჩადგმული ბეტონის ბოძი წარწერით „ქალაქის საზღვარი“, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ტერიტორია ქ. თბილისს ეკუთვნის.

ჩვენი სახლი 1963 წელს თბილისის საბჭოს აღმასკომმა ააშენა და გადასცა ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს. შემდეგში რატომღაც ლენინის რაიონის კუთვნილი სახლი გარდაბნის რაიონის საბჭოს აღმასკომმა გასანაწილა მობინადრეთა შორის. გარდაბნელები ყველა ზომას ხმარობენ, რომ სახლი ლენინის რაიონს აღარ გადაეცეს. ისინი ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს არაერთი მიმართვას სახლის გადაბარების შესახებ ფაქტიურად უყურადღებოდ ტოვებენ.

ამასობაში სახლი ორი ძიძის ხელში უპატრონოდ არის მიტოვებული. სამი წელია ვცდილობთ გავიგოთ, ვისია მასწავლებელთა ეს კომუნალური სახლი, მაგრამ ვერ გავიგეთ. როდემდის იქნება ჩვენი სახლი უპატრონოდ?

ლ. ოშხერელი, მ. ანთელავა, ო. ცინაძე, მ. მჭედლიშვილი, ნ. დუმბაძე, მ. გაბუნია, ნ. ჯორბენაძე — პედაგოგები.

□

და აი ვინახულეთ მასწავლებელთა ეს კომუნალური სახლი და მიაი ბიეადგილი ძასწავლებლები. ერთი შეხედვითვე ეგრძნობა, რომ „ეგოეთწოდებული „ორი ძიძა“ ყველგან და ყოველთვის უპატრონობას იიმნაა„.

მასწავლებლები ერთმანეთს **არ** აცლიდნენ და მოაყვანენ „ორ ძიძას“ შორის დაეტოვლებელი დავის შედეგებზე. ჩვენ ჩავიყვანეთ მათი გულისტკივილი გამომხატველი ანრები.

ნ. დუმბაძე (გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი): გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი არც თვითონ უკლია ამ სახლს და არც ლენინის რაიონს აძლევს ამის საშუალებას. სამი წელია სახლი სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული. მას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს გარდაბნის რაიონის № 1 სახლთმაძღვანელი გ. ბულაშვილი. აქ მცხოვრები სპორტული სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებისაგან ბინის ქირიდან დღემდე ერთი კაპიკიც არ შესულა სახელმწიფო სალაროში. მიზეზი? ვერც გარდაბნის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი გვადგენენებს ბინის ქირას (აქაო და სოფლის მასწავლებლები ხართო), ვერც ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო (თქვენ გარდაბანს ეკუთვნებიხართ). ჩვენთვის, მასწავლებლებისათვის, მეტი რომ არა ფიქრეთ, ეს უხერხულია მორალის თვალსაზრისით.

ო. ცინაძე (გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის პარტბიუროს მდივანი): გარდაბანი რომ „გეპატრონობს“, ამით მთელი რიგი შეღავათები დაკარგეთ. თბილისში სამუშაოდ არ იღებენ ჩვენი ოჯახის წევრებს, ავადმყოფობის შემთხვევაში თბილისში მკურნალობა ძნელდება, ჩვენს ბავშვებს ქალაქის სკოლებსა და ბაგა-ბაღებში ისე არ იღებენ, თუ თავი არ ვიმტკიცეთ. გული გვწყდება, რომ ასეთ დღეშია ჩვენი სახლი. ყველას გვსურს ვიყოთ ლენინის რაიონში, რომელიც ჩვენთვის ყოველმხრივ მოსახერხებელია ტერიტორიულად (გარდაბანში ხომ თბილისსა და რუსთავზე გავლით უნდა ჩავიდეთ).

ალ. ჭელიძე (გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის პროფორგანიზაციის ადგილკომის თავმჯდომარე): რადგან ასეთი მდგომარეობა წლობით გრძელდება, შარშან სექტემბერში ერთხელ კიდევ მივმართე შეკითხვით ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს, საიდანაც ასე მომწერეს: „გაცნობებთ, რომ ტერიტორია (თიანეთის გზაკეცილი), სადაც მდებარეობს მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი და მასთან ერთად გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის ნაგებობანი... ეკუთვნის ქ. თბილისის ლენინის რაიონს“. საკვირველია, მაგ რა ხელი აქვს ჩვენთან გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატს, სახლთმაძღვანელს გ. ბულაშვილს, რომლებიც არც გვეშვებიან და არც გვაპატრონობენ?

რაშია საქმე, ეს სახლი იმითაითვე მართლა უპატრონოდ იყო მიტოვებული? ქართლიდაც „არა. პირიქით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით სოფელ გლდანში არსებული ტერიტორია, რომელზეც ახლა აშენებული სპორტული სკოლა-ინტერნატი და მასწავლებელთა კომუნალური სახლი, შედის ქ. თბილისის ტერიტორიაში და ეკუთვნის ლენინის რაიონს. ეს ბრძანებულება არ შეცვლილა და დღემდე ძალაშია. მიუხედავად ამისა, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს კუთვნილ სახლს გარდაბნელები დაეპატრონენ.

ახლა ვეკითხოთ, როგორია ამ პატრონობის შედეგი? მასწავლებელთა კომუნალური სახლის გვერდით კედლებზე წყლის საფენი თუნუქის ფილები დაზიანებული და მოხსნილია. წყალი შენობის კედლებს აფუჭებს. შენობის დასავლეთ მხარეს ბეერ ადგილას სახურავი (შიფერი) ქარმა ახადა, წვიმის დროს წყალი ჩადის და ჭერს უნგრევს მეოთხე სართულზე მცხოვრებთ. მეოთხე სართულზევე ლოჯიები წვიმისაგან ჩამონგრეულია. მობინადრეთა სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ეს მდგომარეობა წლობით გრძელდება. მასწავლებლებმა ბევრს მიმართეს საჩივრით, მათ შორის პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსაც, საიდანაც შემოწმების შემდეგ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მისწერეს:

„...შემოწმებით გამოირკვა, რომ ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს დღემდე არ მიუღია ექსპლოატაციაში აღნიშნული საცხოვრებელი სახლი, რის გამოც 1963 წელს აშენებული საცხოვრებელი სახლი უყურადღებობის გამო მოითხოვს გადაუდებელ შეკეთებას. გარდა ამისა, მობინადრეები მეორე წელიწადია არ იხდიან არც ბინის ქირას, არც სხვა კომუნალური მომსახურების გადასახადს. საქართველოს პროფსაბჭო გთხოვთ დაუყოვნებლივ მიიღოთ საჭირო ზომები“.

ამ სამართლიან მოთხოვნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში რატომღაც უყურადღებოდ მოეკიდნენ. მდგომარეობა უცვლელი დარჩა. საკვირველია: ვისთვის არის ხელსაყრელი თბილისს ტერიტორიაზე № 95 სახლთმმართველობის გვერდით მდებარე 36-ბინიანი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი თბილისიდან გამოთიშო და გარდაბნის რაიონულ ცენტრში არსებულ სახლთმმართველობას გადასცე?!

მასწავლებლები სავსებით მართალი არიან, როცა დაეკინებით მოითხოვენ ამ სახლისადმი ყურადღებასა და მზრუნველობას. მაგრამ პედაგოგთა ეს ჩივილი გულს არ უტოკავს იმათ, ვისაც ის ეხება. ნაცვლად იმისა, რომ დროულად იზრუნონ მასწავლებლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ამ სახლის თაობაზე დღემდე გრძელდება დაუსრულებელი მიმოწერა. მიმოწერის ავტორები კი არიან გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის უფროსი ა. ირუმინოვი, ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსი გ. კასარელი და ყოფილი სახლმმართველი ფ. დანელია.

კიდევ ბევრი რამ თქვეს მასწავლებლებმა ამ სახლის მოვლა-პატრონობის, მისი ზოგიერთი მობინადრის თვითნებობის, სახლის ეზო-გარემოს კეთილმოწყობის მტკივნეულ საკითხებზე. ჩვენ გავეზიარეთ მათი აზრები, იმიტომ, რომ ყველაფერი სკუთარი თვალით ვნახეთ, დაკვალიერეთ. და იქვე, გლდანში, დაგვებადა კანონიერი კითხვა: ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგინდეს ვინ უნდა უპატრონოს ამ სახლს? პასუხი ნათელია: გლდანში არსებული მასწავლებელთა კომუნალური სახლი ტერიტორიულად ეკუთვნის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს, რომელიც ვალდებულია მოუაროს და უპატრონოს მას. რაც შეეხება გარდაბნელებს, მათ უნდა აიღონ ხელი ამ სახლისადმი ნაძალადევ მეურვეობაზე.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

□

□

□

ბაჩერებაზე ბაძანი უნდა მოეწყოს

დიდი ხანია, რაც № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორასთან ჩერდება სამგზავრო მატარებელი. აქვეკტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ მომარაგების საწყობი და სხვა ორგანიზაციები. ამ გაჩერებით სარგებლობენ აგრეთვე მგზავრები სხვადასხვა სოფლებიდან. ამიტომ აქ ყოველთვის ბევრი ხალხი იყრის თავს, მაგრამ მგზავრებისათვის ჯერაც არ აუგიათ თავშესაფარი. ისინი ცუდ ამინდში ღია ცის ქვეშ ელოდებიან მატარებელს.

უფრო მეტიც. იმის გამო, რომ აქ სამგზავრო ბაქანი არ არის, მგზავრები ამ ერთწუთიან გაჩერებაზე ვერ ასწრებენ მატარებელზე ასვლა-ჩამოსვლას, ხშირია მატარებლიდან ჩამორჩენის შემთხვევები.

დროა შენობა-ნაგებობათა დისტანციისა და სამგზავრო სამსახურის სამტრედიის განყოფილების მუშაკებმა იზრუნონ

ღვაწლმოსილი მეცნიერი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სოფლის „მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ქართული ეროვნული კულტურის დიდ მოამაგეს, პროფესორ ლ. დეკაპრელევიჩს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

ხვალ, 28 იანვარს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში აღინიშნება ღვაწლმოსილი მეცნიერის იუბილე.

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეცნიერს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, ქართული ეროვნული კულტურის დიდ მოამაგეს, პროფესორ **ლ. დეკაპრელევიჩს** — ამ ღვაწლმოსილ მეცნიერ, ბრძოლის ამხანაგ, ერთგულ მეგობარ, ბრწყინვალე მასწავლებელ, ადამიანურ ადამიანს — ბევრ ადამიანს, ბევრ ადამიანს, ბევრ



ლაქვარდოვანი ზღვის პირას

გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე გვიან შემოდგომამდე ყოველთვის სავსეა კურორტი ბიკვინთა დამსვენებლებით, ხმაურობს ტურისტული ბაზა, პანსიონატი, კემპინგი, პლაჟი... შენდება და მშვენდება აქაურობა. ვინც ხშირი სტუმარია, მან კარგად იცის იმ სასიხარულო მშენებლობის მასშტაბები, რომელიც აქ მიმდინარეობს.

აქ ზღვის პირზე იქნება საქართველოს ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა დასასვენებელი სახლი, ერთ-ერთი ლამაზი ნაგებობა, რომელშიც ერთდროულად 200 კაცი დაისვენებს. მთავარ დასასვენებელ კორპუსს აქვს ერთოთახიანი ორსაწოლიანი ნომრები, აგრეთვე ნახევარლუქსები და ლუქსები თავიანთი საბაბაზანოებითა და სანიტარული კვანძებით.

ტრესტ „ბიბვინთმშენის“ კოლექტივმა (მმართველი ა. ბულია), რომელიც ჯანმრთელობის ამ ახალ კერას აშენებს, ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლის იუბილეს მიუძღვნას მთელი კომპლექსის მშენებლობის დამთავრება.

აქ კარგა ხანია დამთავრდა მთავარი კორპუსისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა კედლების ამოყვანა და გადახურვა. ახლა კი მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

რვასართულიანი მთავარი კორპუსის გარდა, რომლის სახურავზე სოლარიუმი და კაფე მოეწყობა, შენდება სასადილო, კინოთეატრი, ღია საცურაო აუზი ზღვის წყლის გათბობით, ავტომანქანების სადგომი და სხვა დამხმარე ნაგებობანი. აქვე ზღვის პირზე ეწყობა დამსვენებელთა მომსახურებისათვის ნავებისა და გლისერების სადგომი ელინგი.

მშენებლობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ინჟინერი **იუზა ჩხეიძე**. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის დაწინაურდა ბიკვინთაში ფართოდ ცნობილი მშენებლების კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც სათავეში **ნოდარ ყურაშვილი** უდგას.

იანვრის დღეებია. ენთუზიაზმით შრომობენ მოწინავე მშენებლები **ბონდო აბრამიშვილი, პეტრე მუსიკიანი, გიორგი პროსოდკო, გიხეილ გოგებაშვილი, ამირან ტაბატაძე, გიორგი სვანიძე**, ელექტროშემდუღებელი **ვიაჩესლავ მალიშევი**.

მშენებლობისათვის ელექტროენერგიის შეუფერხებლად მიწოდების საქმეს წარმატებით ართმევს თავს მედიზელი **ალექსანდრე რუდენკო**, ხოლო ცნობილი მებულდოზერე **ანატოლი გაბაბრინი** ამჟამად ჯანმრთელობის ამ ახალი კერის ტერიტორიის კეთილმოწყობაზე მუშაობს და ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

წელს საქართველოს ჟურნალისტები და კინემატოგრაფისტები შესანიშნავ სარჩულარს მიიღებენ, მათთვის სტუმარმოყვარულად გაიღება ბიკვინთის ახალი დასასვენებელი სახლის კარი.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის დასასვენებელი სახლის მშენებლობა ბიკვინთაში. მარჯვნივ — მოწინავე მშენებლები (მარჯვნიდან) პ. უსიკინი, ნ. ჩისტოუსოვი, სამუშაოთა მწარმოებელი ი. ჩხეიძე, ბ. აბრამიშვილი, ნ. აკქსენტიევი, ვ. ნაუმოვიჩი და ვ. ვლადიმიროვი.

ფოტო ს. კილაძისა.

რეალიზმი, იდეურობა

მოსკოვი, 24 იანვარი. (საკდესი). ყველა თაობის საბჭოთა მხატვრების თანამგზავრობა, ცხოველი შემოქმედებითი აზრის განვითარება, მიზანსწრაფულობა საიუბილეო წლის მომავალი დიდი ამოცანების გადაწყვეტაში — აი ის მთავარი, რაც აღლვებს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობისა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული პლენუმის მონაწილეებს. უკვე მეორე დღეა მუშაობს განგარძობს ეს პლენუმი.

ფართო გამოხმაურება, რაც საბჭოთა სახვითს ხელოვნებას აქვს საზღვარგარეთ. შემოქმედებითი კავშირისაგან მოითხოვს ახალ, უფრო თანამედროვე და ქმედით პროპაგანდას. ამის შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში გამგეობის მდივანმა პ. ლებედევმა. მან საინტერესო ციფრები მოიყვანა. ბოლო წლების მანძილზე საზღვარგარეთ მოეწყო საბჭოთა ხელოვნების 121 გამოფენა. მომდინარე საიუბილეო წელს 44 გამოფენა მოეწყობა მსოფლიოს 60 ქვეყანაში.

საზღვარგარეთ საბჭოთა ხელოვნების პროპაგანდაზე ილაპარაკა ხელოვნებათმცოდნე ი. კოლპინსკიმ.

ახალ სახვით საშუალებთა ძიებაზე, შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდაზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, მხატვარმა დ. შმარინოვმა, ი. ენსენმა (ესტონეთი), ა. ლოპუხოვმა (უკრაინა), ი. კუზმინსკისმა (ლიტვა) და სხვებმა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ფურცევამ.

გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ მხატვარს ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის დროს. ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხატვრის პიროვნების ჩამოყალიბება, აგრეთვე მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე.

სახელოვანი გგა

ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ოცი წლისაა

წელს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო არტისტები **ილიკო სუხიშვილი** და **ნინო რამიშვილი** ხელმძღვანელობენ, ოცი წელი უსრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად 1967 წლის 6 თებერვალს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შექმნა საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. აბაშიძე, დ. ანთაძე, გ. ასათიანი, ჯ. ბაგრატიონი, კ. გარდაფხაძე, ა. გიგოშვილი, ო. გორდელი, ვ. გოძიაშვილი, ა. დვალიშვილი, ს. დოლიძე, ს. ვირსალაძე, ს. ზაქარიაძე, ა. თათარაძე, ო. თაქთაქიშვილი (თავმჯდომარე), შ. კილოსანიძე, ვ. კუპრავა, ზ. ლეფაკა, ალ. მაჭავარიანი, დ. მჭედლიშვილი, ი. ნონეშვილი, ა. ყიფიანი, ა. ჩიმაკაძე, მ. ჩირინაშვილი, ს. ცინცაძე, ვ. ჭაბუკიანი, ს. ჭელიძე, რ. ჭოხონელიძე, ე. ხაბაძე, ი. ხომერიკი, პ. ხუჭუა.

ანსამბლის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს დაესწრებიან სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან.

• • •

სურათებზე: ზემოთ — სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი; ქვემოთ — ანსამბლის ერთი ჯგუფის გამოსვლა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფოლკლორისტთა კონფერენციაზე

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც თბილისის, ბათუმის, თელავის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **ალ. ბარამიძემ**. შემდეგ მოხსენებებით გამოვიდნენ სხდომის მონაწილენი.

მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მის. ჩიქოვანის მოხსენებამ „ქართული საწესჩვეულებო პოეზიის საკითხები“. საყურადღებო და საინტერესო იყო პარალელები ქართულ ხალხურ სამგლოვიარო პოეზიასა და ისეთ უძველეს ეპიკურ თხზულებებს შორის, როგორიც არის „გილგამეში“, „ილიადა“ და სხვ.

„მცენარეთა სიმბოლიკა ქართულ ხალხურ პოეზიასა და „ევფხისტყაოსანში“ — ასეთი იყო ქს. სიხარულიძის გამოკვლევის თემა. მკვლევარმა გარდა საინტერესო მაგალითებისა, ანალიზი გაუკეთა ხალხურ პოეზიაში გენეზისის საკითხს. და სცადა აეხსნა „ევფხისტყაოსანში“ გამოყენებული სიმბოლოების კავშირი ეროვნულ საუნჯესთან.

ქართული ხალხური ზღაპრების სტილისტური თავისებურების გარკვევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელსაც დღემდე შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამ ნაკლის შევსების ერთგვარ ცდას წარმოადგენდა ი. მაისურაძის მოხსენება „მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრების ზოგიერთი სტილისტური თავისებურებანი“.

საყურადღებო გამოკვლევები წარმოადგინეს აგრეთვე თ. ოქროშიძემ („ქართული ზღაპრული რაში“), ა. მსხალაძემ („აპარული. აკვნის ლექს-სიმღერები“), გრ. ჩხიკვაძემ („ევფხისტყაოსანი“ ხალხურ სიმღერაში“), ა. ბიაზროვმა („ოსური საყოფაცხოვრებო ზღაპრები“). ზ. აბაევამ („მარტოობის თემა ოსურ ფოლკლორსა და ლიტერატურაში“), ა. ლლონტმა („დიალოგი ზღაპარში“) და სხვებმა.

ხალხური ტოპონიმების შესახებ ისაუბრეს კ. სამუშიამ და მ. ელიავამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. ელიავას მიერ გაწეული მუშაობა. მან გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლების დახმარებით შეაგროვა ათი ათასამდე ტოპონიმი და მათთან დაკავშირებული თქმულებანი.

მოხსენებების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკ. შანიძემ, ბ. ბერაძემ, ი. ქავთარაძემ, თ. ბეგიაშვილმა, ჯ. ბარდაველიძემ და სხვებმა.

კონფერენციის ბოლო სხდომა მიეძღვნა ფოლკლორული ნიმუშების შეკრების საკითხებს. გასულ წელს გაწეული შემკრებლობითი მუშაობის შესახებ კონფერენციას მოუთხრეს ა. ცანავამ, ვ. მაცაბერიძემ, ა. ინაიშვილმა, ალ. კიკვაძემ.

ლ. შავდია.



ვინ მოიგო?

გედნიერი ბილეთები

25 **იანვარს** თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ ფულის და ნივთების მიმდინარე წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

ოფიციალური ცხრილის გამოქვეყნებამდე ინტერესს მოკლებული არ იქნება წინასწარ გავეცნოთ ზოგიერთ დიდ მოგებას. აი ისინიც: ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ბილეთის ნომერია 155, სერია 39141. მან ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო. შეიძლება მივულოცოთ აგრეთვე 37631 სერიის № 413, 37996 სერიის № 359, 38234 სერიის № 249 ბილეთების მფლობელებს — მათ „მოსკვიჩები“ მოიგეს. „ზაპოროჟეცი“ ხვდათ 39224 სერიის № 152, 39550 სერიის № 462, 40251 სერიის № 099 ბილეთებს. ტურისტულ მატარებელ „საქართველოში“ საბჭოთა კავშირის ქალაქებში იმოგზაურებს 37220 სერიის № 356 ბილეთის მფლობელი. 37355 სერიის № 317, 37416 სერიის № 411, 37635 სერიის № 039 ბილეთებს მოგებად ხვდათ პიანინო, ხოლო 37231 სერიის № 024 და 37373 სერიის № 229 ბილეთებს — მაცივარი.

საუბილეო კონკურსის შედეგები

შარშან საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირმა გამოაცხადეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი იუბილეს აღსანიშნავი საუკეთესო პიესისათვის.

ჟიურიმ მიიღო დრამატული ხელოვნების ყველა ჟანრის მრავალი ნაწარმოები. ამ დღეებში ჟიურიმ შეაჯამა კონკურსის შედეგები. პირველი პრემია არავისთვის არ მიუნიჭებია.

მეორე პრემია მიიღო ა. გეწაძის დრამამ „წმინდანები ჯოჯოხეთში“. პიესა ეძღვნება საქართველოს ახალგაზრდობის მონაწილეობას ადამიანურ ომის დროს ყირიმის ნახევარკუნძულისათვის ბრძოლებში.

ორი მესამე პრემია კონკურსის ჟიურიმ მიანიჭა ა. ჩხაიძის ნაწარმოებს „მუშა მეხანა“ (საკოლეგიურნო ცხოვრების შესახებ) და გ. ხუხაშვილის ნაწარმოებს „მიდიოდნენ ჯარისკაცები“ (ბოთხრობა მარუხის ბრძოლის შესახებ).

წასახალისებელი პრემიებით დაჯილდოვდნენ შემდეგი ნაწარმოებები: ა. სამსონიას „ძველი ქოლგა“, ო. მამფორიას „ნუგეში“, თ. გოდერძიშვილის „მიწისქვეშა სასახლეები“ და თ. ქურდოვანიძის „ხვალინდელი დღე“. (საქდესი).

□

მაღალი შეფასება

აუხაბადი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკურმა გაზეთებმა „სოვეტ ტურკმენისტანი“ და „ტურკმენსკაია ისკრა“ გამოაქვეყნეს თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ფილარმონიის, სომხეთის სსრ სახელმწიფო ფილარმონიის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის, აზერბაიჯანის ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, სომხეთის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, საქართველოს ფილარმონიის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დაჯილდოვების შესახებ.

ეს მაღალი ჯილდო მოძმე რესპუბლიკათა მუსიკალურ კოლექტივებს მიენიჭათ თურქმენეთში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ფესტივალის „საბჭოთა ამერიკაკავკასიის მელოდიების“ წარმატებით მოწყობისათვის.

დ. ა. ფანჩულიძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კათედრის დოცენტმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **დავით ალფეზის-ძე ფანჩულიძემ** ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ნარკვევები XIX საუკუნის ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა დ. ა. ფანჩულიძისთვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

საზეიმო კრება

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების 10 წლისთავი

ომის ვეტერანებმა აღნიშნეს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების 10 წლისთავი.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის უფროსმა პოლკოვნიკმა პ. ხლებნიმა.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების 10 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ, თადარიგის გენერალ-მაიორმა ნ. კალაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თადარიგის პოლკოვნიკი ს. აბულაძე, საქართველოს რესპუბლიკური სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მ. იაშვილი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი საბანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ფ. დრაგუნსკი.

კრებაზე წაიკითხეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის არმიის გენერლის ა. ტ. სტუჩენკოს ბრძანება სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების აქტივისტთა საპატიო სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოების შესახებ. თადარიგის მთელმა რიგმა გენერლებმა და ოფიცრებმა მიიღეს სარდლის მადლობა.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ეს საინტერესოა

ერთბაშად ოთხი და

გამყიდველმა ალა მიხეილის ასულმა ბერიუკმა ერთბაშად ოთხი გოგონა შეძინა. ახალდაბადებულთა მამა თევდორე ბერიგოლის-ძე ბერიუკოვი „ტუიმაზნავთობგაზის“ სამმართველოს პირველი სარეზერვო ოპერატორია.

ბერიუკოვთა ოჯახში ოთხი ვაჟი იყო. ახლა, მშობლათა გულის გასახარად, გოგონებიც და ბიჭებიც ოთხ-ოთხი არიან.

ოკტიაბრსკი (ბაშკირეთის ასსრ).

ძალიან გაჯანსაღებული

ორი ზღვით — იაპონიისა და ოხოტსკის ზღვებით იმოგზაურეს... ჩვეულებრივმა ბეღურებმა. ისინი მაგადანში ნახოდკის ნავსადგურიდან ჩამოიყვანეს ერთ-ერთი საოკეანო სატვირთო თბომავლით და გაუშვეს.

მაგრამ ჩრდილოეთი არ მოეწონათ ფრთოსანთ მოგზაურებს. იმავე დღეს ყველანი ნაცნობ ხომალდზე დაბრუნდნენ და კვლავ გაუდგნენ გზას ოჩი ზღვით. როდესაც თბომავალი ნახოდკაში დაბრუნდა, ბეღურები მაშინვე გაფრინდნენ.

მოღალატეებსა და მკვლელებს — დახვრეტა

ეიტომირი, 24 იანვარი. (საკდესის კორ.). რეა ღღეს გრძელდებოდა სამშობლოს მოღალატეების მ. ა. ნაზაროვისა და ნ. ნ. რისინის გასამართლება. ფაშისტთა ოკუპაციის დღეებში ორივემ გატეხეს სამხედრო ფიცი და თავიანთი ნებით დაიწყეს სამსახური ბაზარსკის, შემდეგ კი ოკრუჩის სტ-ის პოლიციაში. ცოტა ხნის შემდეგ ფაშისტებმა ნაზაროვი მცველთა ასეულის მეთაურად დანიშნეს, რისინი კი ამავე ასეულში — ათეულის მეთაურად.

გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს დაწვრილებით გამოვლინდა ნაზაროვისა და რისინის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. ისინი მონაწილეობდნენ სადამსჯელო ოპერაციებში პარტიზანების წინააღმდეგ, რომლის დროსაც გადაბუგეს პოლესიეს სოფლები სიეკი, ჩერეგონა ეოლია, პრიბიტკი, მოკლეს პარტიზანთა მეთაური მიხეილ შვაიჩუკი, საბჭოთა მზვერავი იური არტემიევი, დახოცეს ტყის სოფლების მრავალი მცხოვრები.

ნაზაროვი და რისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა ადამიანების რამდენიმე მასობრივ დახვრეტაში ქალაქ ბელოსტოკის მახლობლად. პოლონეთის ტერიტორიაზე რისინი ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკის გუშაგი იყო, რომელშიც ყავდათ შიმშილისა და სიცივისაგან დაუძლურებული ქალები. როგორც თვით განსასჯელმა აღიარა, ბანაკში 200-ზე მეტი ქალი დაუხოციათ.

სასამართლოსა და გამოკითხეს ოცდაათამდე მოწმეს, რომლებიც დაეხმარნენ სასამართლოს ემხილებინა მოღალატეები.

სამშობლოს ღალატისათვის, მხეცურ მოქმედებაში, საბჭოთა ადამიანების ოხოცვაში, პარტიზანების წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიციებში მონაწილეობისა და ხალხის წინაშე სხვა უმძიმეს დანაშაულთათვის კარპატეთის პირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა მ. ა. ნაზაროვსა და ნ. ნ. რისინს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

როგორ ღალატობენ ჯარისკაცებმა თაგვები

ზოტლანდიის ნაპირების დასავლეთით ატლანტის ოკეანეში მდებარეობს სენტ-კილდეს კუნძულები. ერთ-ერთ მთაგანზე იხვლისს 30 ჯარისკაცისგან გარნიზონია. მათი მთავარი მტერია თაგვები. უამრავი მღრღნელი ჯარისკაცებს თავბედს აწყვეტინებს. თაგვები თითქოს სუნით მიხვდნენ, რომ ინგლისში ყოფილა კანონი, რომელიც კრძალავს ცხოველთა მოსპობას: არ შეიძლება მათი არც მოწამვლა, არც დაჭერა, მით უმეტეს მოკვლა.

თაგვები განსაკუთრებული ყურადღებით, რა თქმა უნდა, სამზარეულოსა და საკუჭნაოს ეკიდებოდნენ. მათი თავდასხმები ისეთი გამანადგურებელი იყო, რომ ინტენდანტი იძულებული გახდა შეემცირებინა ჯარისკაცების ულუფა.

ერთხელ თაგვები შეიჭრნენ შენობაში, სადაც საღეჭი რეზინის მარაგი ინახებოდა. მეორე დღეა კუნძულის მცხოვრებნი საინტერესო სურათის მოწმენი გახდნენ: ყველანაირ ზიანად დაძვრებოდნენ გასივებული მღრღნელები და მელანქოლიურად ღეჭავდნენ რეზინს. მათ აგრესიულობის ნიშანწყალიც ალარ ეტყობოდათ. ყაზარმები, საწყობები, სამზარეულო — ყველაფერი მიეტოვებიათ თაგვებს. მღრღნელები ნამდვილ „ძღეჭავებად“ გადაიქცნენ.

კუნძულზე მშვიდობამ დაისადგურა. ერთი ისაა, რომ ჯარისკაცებს საბრუნავი მოემატათ: კუნძულზე უნდა მიმოფანტონ ხოლმე საღეჭი რეზინი.

სიახლე მრეწველობაში

სუმგაითში ჰაერი კიდევ უფრო გაიწმინდება სსრ კავშირის პირველი საცდელი დანადგარის მეოხებით, რომელიც გოგირდოვანი გაზის მავნე აირებს ატმოსფეროში არ უშვებს. დანადგარის გამოცდა წარმატებით დამთავრდა სუმგაითის სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში.

ეს ჩვენ ვასოთ, ჩვენ ეოვილეილოთ

ტელევიზია

27 იანვარი

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — მხატვრული ფილმი „პეტრე პირველი“ (II სერია), 13.20 — სატელევიზიო ჟურნალი „საბჭოთა კავშირის სტანდარტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჯადოქარი ბარნაბაშა“ (ქართულ ენაზე), 18.45 — განცხადებები, 18.50 — გადაცემა „ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური ვაკეში“, 19.10 — სპორტული გადაცემა, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — ჩვენი თვითმოქმედება (თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი), 20.25 — მხატვრული ფილმი „პეტრე პირველი“ (II სერია), 22.00 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — XXXIV ჩემპიონატი ჰაერაკში.

28 იანვარი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ოქტომბრელთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ჭეჭილი“, 17.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 17.55 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.55 — ევროპის პირველობა ციგურებით ჩქაროსნულ სრიალში (გადმოცემა ფინეთიდან), 19.30 — გადაცემა ციცლიდან „საყოლმეურნეო შრომის ორგანიზატორები“, კ. უზარაშვილი, 19.50 — კინონარკვევი, 20.15 — სატარულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი“, 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — გადაცემა „გამოჩენილი პოლონელი კინომსახიობი ზბიგნევ ციბულსკი“, 21.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.15 — XXXIV ჩემპიონატი ჰაერაკში, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 29 იანვრისათვის, 22.30 — „ციფერ ეკრანზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

27 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის **სახელმწიფო აკადემიური** — გედის ტბა, **რუსთაველის** სახელობის **სახელმწიფო აკადემიური** — უკანასკნელი მასკარადი, **მარჯანიშვილის** სახელობის **სახელმწიფო აკადემიური** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (აბაშის რაიონის მშრომელთათვის), **ვასო აბაშიძის** სახელობის **მუსიკალური კომედიის** — შავი ურჩხული, **თოჯინების ქართული** — (პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში) — ტყის კომედია (დასაწყისი დღის 11 და 2 ს.).

გუშინ საჭადრაკო ჩემპიონატზე

ერთი დღის შესვენების შემდეგ გუშინ თბილისის რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საჭადრაკო ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტური.

ყველაზე ადრე დამთავრდა **სავონკოლუბაკაუსკისა** და **გიპსლის-შტეინის** პარტიები. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე **კროგიუს-ლიბერზონის** შეხვედრა. **ბრონშტეინმა** კარგ სტილში დაამარცხა **ნიკოლაევსკი. დოროშევიჩმა** დროს გადააცილა **გუფელდთან** პარტიაში და წაგება ჩაითვალა.

ხუთი პარტია გადადგა. **სუეტინისა** და **სმისლოვის** პარტიაში მოსალოდნელია ყაიმი. **ნეის** ზედმეტი პაიკი აქვს **ტაიმანოვთან. ბურგენაძე** უგებს **ოსნოსს. კორჩნოი-ბელერისა** და **ლეინ-ვასიუკოვის** პარტიაში შავების პოზიცია უკეთესია.

ტურნირის ლიდერია **გრუნფელდი**, რომელსაც 10 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს 16-დან. ათ-ათი ქულა აქვთ სსრ კავშირის ჩემპიონს **ლ. შტეინსა** და **გროსმაისტერ ნ. კროგიუსს.**

◆

დღეს მეთვრამეტე ტურია

დღეს თბილისის რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეთვრამეტე ტური.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების **ე. გელერის, ლ. შტეინის, ნ. კროგიუსის, მ. ტაიმანოვის, ვ. კორჩნოისა** და **ა. გიპსლისის** პარტიები. **ე. გელერი** ხვდება **ა. სუეტინს, ლ. შტეინი — ბ. გურგენიძეს, ნ. კროგიუსი** შავებით — **ვ. სმისლოვს, მ. ტაიმანოვი — დ. ბრონშტეინს, ვ. კორჩნოი** შავებით — **ე. ვასიუკოვს, ა. გიპსლისი** შავებით — **ი. ნიკოლაევსკის.**

დანარჩენი წყვილები ასეთია: **ვ. ოსნოსი-ა. ლეინი, ვ. დოროშევიჩი-ი. ნეი, ლ. პოლუგაევსკი-ე. გუფელდი, რ. ხოლმოვი-ვ. სავონი.**

ე. ლომთაძე უძლიერესი იყო

ჩვენს ქვეყანაში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი მძლეოსნობაში. მისმა მონაწილეებმა ლენინგრადსა და ტალინში დაამთავრეს ტურნირის პირველი ორი ეტაპი და რიგას ეწვივნენ.

ისევე როგორც წინა შეხვედრებში რიგაშიც სტარტი ჩინებული გამოდგა. მძლეოსნობის უმრავლეს სახეებში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი ადგილები დაიკავეს. სამმაგ ხტომაში უძლიერესი იყო ა. ზოლოტარიოვი, რომელმაც აჩვენა შედეგი 15 მეტრი და 63 სანტიმეტრი.

მმაფრი ბრძოლით გამოირჩეოდა სპრინტერთა ასპარეზობა. 50 მეტრზე ყველას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა მ. ლომთაძემ. მისი დროა 5,7 წამი.

საკავშირო ღია ჩემპიონატი

საბჭოთა ჩოგბურთელებს კალენდრით გათვალისწინებულ, საშიათო ასპარეზობათა გარდა მრავალ საერთაშორისო ტურნირში გბრძოლა მოელით.

როგორც ცნობილია, საქართველოს ჩოგბურთელები სსრ კავშირის ჩემპიონს **ა. მეტრეველს** მეთაურობით თითქმის ერთი თვეა ინდოეთში იმყოფებიან. აქედან **ა. მეტრეველი** გაემგზავრება სტოკჰოლმში, სადაც მოეწყობა საკავშირო ღია ჩემპიონატი.

ამ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან სტოკჰოლმში უკვე გაემგზავრნენ სსრ კავშირის ჩემპიონები კიეველი **გ. ბაკშევი**, მოსკოველი **ვ. კოროტკოვი** და ბაქოელი **ს. ლიხაჩოვი.**

საკავშირო ღია ჩემპიონატი სტოკჰოლმში დღეს გაიხსნება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09. პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 00637

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.